საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8896/01
23/08/2021

8896-01-2-202108231036

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 ივლისის N12816 წერილი, რომელიც ეხება ქ. ლაგოდეხის აღმოსავლეთით, მდ. ლაგოდეხისხევზე წყალდიდობის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- როგორც სკრინინგის განცხადებაში მოცემული განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, საკვლევი უბნის საინჟინრო ჰიდროლოგიური გაანგარიშება განხორციელებულია ორი მეთოდით: საქართველოში მოქმედი წყლის ხარჯის განმსაზღვრელი რეგიონალური ფორმულის გამოყენებით და უცხოელი სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული ჰიდროლოგური მოდელირების მეთოდით (რომელიც მიჩნეულ იქნა საანგარიშოდ). რეგიონალური ფორმულით მიღებული წყლის ხარჯის სიდიდე ნაკლები გამოვიდა ვიდრე ჰიდროლოგიური მოდელირებით მიღებული ხარჯი, თუმცა საპროექტო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები გამოთვლილია საანგარიშოზე უფრო ნაკლებ წყლის ხარჯზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- საპროექტო განივ კვეთებზე წარმოდგენილი უნდა იყოს საანგარიშო ხარჯის შესაბამისი, ჰიდრავლიკური ელემენტები;
- გრაფიკულ ნაწილში დამცავი ნაგებობის განივ კვეთებზე დასატანია საანგარიშო დატბორვისა და წარეცხვის დონეების რიცხვითი მნიშვნელობები, ხოლო გრძივ პროფილზე დასატანია საანგარიშო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები;
- ნაპირდამცავი ნაგებობის ძირის ნიშნული უნდა იყოს მოცემული წარეცხვაზე შესაბამისი მარაგის გათვალისწინებით.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე